

შპს “გზა-მშენებელი-13”

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

<u>1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u>	3
<u>2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება</u>	4
<u>3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება</u>	5
<u>4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება</u>	6
<u>5.ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები</u>	7
<u>1.ზოგადი ინფორმაცია</u>	7
<u>2.მომზადების საფუძველი</u>	7
<u>3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა</u>	8
<u>3.1.ამონაგების აღიარება</u>	9
<u>3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში</u>	10
<u>3.4.ფინანსური ინსტრუმენტები</u>	11
<u>3.5.ძირითადი საშუალებები</u>	12
<u>3.13.კაპიტალის მართვა</u>	15
<u>3.14.დივიდენდები</u>	16
<u>5.ამონაგები</u>	17
<u>6.სხვა შემოსავლები</u>	17
<u>7.სხვადასხვა ხარჯები</u>	17
<u>12.მარაგები</u>	19
<u>13.ძირითადი საშუალებები</u>	19
<u>14.არამატერიალური აქტივები</u>	20
<u>15.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</u>	20
<u>17.სესხები</u>	21
<u>18.საგადასახდო ვალდებულებები</u>	21
<u>19 ფინანსური ინსტრუმენტები</u>	21
<u>20.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u>	22

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1128	5411	10284
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177526	299706	68183
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	79431	0	0
მზა პროდუქცია	94599	119680	115342
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	151	546	492
ძირითადი საშუალებები	617950	673587	773221
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	970785	1098930	967522
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	117458	319741	107266
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	28792	28471	31733
გამოუქმავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	227022	80000	150000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	112620
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	16319	20900	8050
სულ ვალდებულებები	389591	449112	409669
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	579194	647818	555853
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	581194	649818	557853
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	970785	1098930	967522

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1128	5411	10284
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177526	299706	68183
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	79431	0	0
მზა პროდუქცია	94599	119680	115342
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	151	546	492
ძირითადი საშუალებები	617950	673587	773221
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	970785	1098930	967522
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	117458	319741	107266
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	28792	28471	31733
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	227022	80000	150000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	112620
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	16319	20900	8050
სულ ვალდებულებები	389591	449112	409669
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	579194	647818	555853
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	581194	649818	557853
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	970785	1098930	967522

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ორაიდა ფაცია

დალი გაბელაია

(Handwritten signature)

2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2736632	3931234
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2736632	3931234
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1369026	-3093411
საერთო მოგება	1367606	837823
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-729436	-237444
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-123279	-119509
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-24760	-29910
იჯარის ხარჯი	-2542	-1186
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-460813	-247888
სულ საოპერაციო ხარჯები	-1340830	-635937
საოპერაციო მოგება	26776	201886
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14052	25194
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდ	40828	227080
მოგების გადასახადის ხარჯი	-1450	-2165
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	39378	224915
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიურ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე ს	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	39378	224915
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	649818	557853
კაპიტალის გაზრდა	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდ	-108002	-132950
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	581194	649818

დირექტორი: ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი: დალი გაბელაია

2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2736632	3931234
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2736632	3931234
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1369026	-3093411
საერთო მოგება	1367606	837823
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-729436	-237444
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-123279	-119509
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-24760	-29910
იჯარის ხარჯი	-2542	-1186
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-460813	-247888
სულ საოპერაციო ხარჯები	-1340830	-635937
საოპერაციო მოგება	26776	201886
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14052	25194
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდ	40828	227080
მოგების გადასახადის ხარჯი	-1450	-2165
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	39378	224915
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიურ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე ს	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	39378	224915
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	649818	557853
კაპიტალის გაზრდა	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდ	-108002	-132950
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	581194	649818

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ირაიდა ფაცია

დავით გაბელაია



[Handwritten signature]

3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ეზელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	2,000	0	555,853	557,853
წმინდა მოგება	-	-	224,914	224,914
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	224,914	224,914
გაცემული დივიდენდი	-	-	(132,950)	(132,950)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	647,817.54	649,818
წმინდა მოგება	-	-	39,378	39,378
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	39,378	39,378
გაცემული დივიდენდი	-	-	(108,002)	(108,002)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	579,194	581,194

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია

3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	2,000	0	555,853	557,853
წმინდა მოგება	-	-	224,914	224,914
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	224,914	224,914
გაცემული დივიდენდი	-	-	(132,950)	(132,950)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	647,817.54	649,818
წმინდა მოგება	-	-	39,378	39,378
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	39,378	39,378
გაცემული დივიდენდი	-	-	(108,002)	(108,002)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	579,194	581,194

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ირაიდა ფაცია

დალი გაბელაია

4. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	12/31/2020	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	36,018	224,914
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	149,489	151,584
- გადასახადები	1,450	2,165
- ცვეთა	123,279	119,509
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ცვლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	-	-
- წმინდა ფინანსური ხარჯი	24,760	29,910
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(130,488)	(26,647)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	122,180	(231,522)
- მარაგები	25,081	(4,337)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(278,070)	212,475
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	320	(3,262)
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	55,018	349,852
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	(24,760)	(29,910)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(1,450)	(2,165)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	28,809	317,776
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(67,247)	(19,929)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(67,247)	(19,929)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	280,000	80,000
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(132,978)	(262,620)
- გადახდილი დივიდენდები	(112,867)	(120,100)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	34,155	(302,720)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	(4,283)	(4,872)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	5,411	10,284
გაგვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	1,128	5,411

დირექტორი: ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი: დალი გაბელაია

4. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12/31/2020	12/31/2019
წმინდა მოგება		
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის	36,018	224,914
- გადასახადები	149,489	151,584
- ცვეთა	1,450	2,165
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	123,279	119,509
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ცვლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	-	-
- წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	24,760	29,910
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(130,488)	(26,647)
- მარაგები	122,180	(231,522)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	25,081	(4,337)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(278,070)	212,475
- გადავადებული შემოსავალი	320	(3,262)
- ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	55,018	349,852
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	(24,760)	(29,910)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(1,450)	(2,165)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	28,809	317,776
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(67,247)	(19,929)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(67,247)	(19,929)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	280,000	80,000
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(132,978)	(262,620)
- გადახდილი დივიდენდები	(112,867)	(120,100)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	34,155	(302,720)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	(4,283)	(4,872)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	5,411	10,284
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	1,128	5,411

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია



[Handwritten signature]

5. ფინანსურ ანაგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გზა-მშენებელი-13 (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1999 წლის 29 იანვარს ფოთის სასამართლოს მიერ 10/04-229 დადგენილებით და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 215103091, იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. ფოთი. მე-7 კილომეტრი N14. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების მშენებლობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა. ახორციელებს სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოს. კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა. მისი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დამფუძნებლები არის სამი რეზიდენტი ფიზიკური პირი:

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიას ხელმძღვანელობენ საერთო კრება და დირექტორი. კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. საერთო კრება განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების შესაბამისად, კომპანია არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში: საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა

2020-2021 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო, ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც, შემოიღო ზომები პანდემიასთან საბრძოლველად. ეს ზომები მოიცავს მოგზაურობაზე შეზღუდვებს, კარანტინს, ბიზნესების დახურვას და გარკვეული ადგილების მასშტაბურ ჩაკეტვას. ამ ზომებმა გავლენა მოახდინა გლობალურ მიწოდების ჯაჭვზე, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და ბიზნესსაქმიანობის მასშტაბზე. როგორც მოსალოდნელია, თავად პანდემია და მასთან დაკავშირებით მიღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური ზომები გავლენას მოახდენენ სხვადასხვა სფეროში მოქმედი საწარმოების საქმიანობაზე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა პანდემიის გადღევის დღებით დინამიკა. ეს ტენდენცია გაამყარა მსოფლიო ეკონომიკის გამოჯოჯხუბამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფსების ზრდამ.

კომპანია აგრძელებს თავის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე პანდემიისა და

ცვალებად ეკონომიკური პირობების გავლენის შეფასებას.

კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს—ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 21 სექტემბერს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდებთან მიმართებაში. საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში შეფასებები და დაშვებები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან.

შემოსავალი მომსახურებიდან შემოსავლად მაშინ აღიარდება, როცა

- შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა. ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება კონტრაქტის შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
- მომსახურების გაწევა პრაქტიკულად ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მზა პროდუქციის რელიზაციიდან შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რელიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და მზა პროდუქციის რელიზაციიდან შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის და/ან რელიზირებულ პროდუქციაზე, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის/მყიდველის მიერ, წარსდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში “სავაჭრო და სხვა მოთხოვნები”.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში” მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი)”

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31.12.2020წ

ლარი/1 აშშ დოლარი

3.2766

ლარი/1 ევრო

4.0233

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

31.12.2021წ

ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976
ლარი/1 ევრო	3.5040

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისაგან, მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

3.4. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც წარმოშობს, როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტები შედგება:

-ფინანსური აქტივებისაგან;

-ფინანსური ვალდებულებებისაგან;

-წილობრივი ინსტრუმენტებისაგან.

ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქტივია, რომელიც არის: ფულადი სახსრები, სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, სახელშეკრულებო უფლება სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი, პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის: საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებიდან ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის (ნეტო აქივებზე) საკუთრების უფლებას.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულება პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადაეცემა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის მიერ გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებულ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	2%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-30%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	10%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

.არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნოშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

3.6. აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვასთან საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3.7.იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგებისა და ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე მოხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათანადო ნაწილებს. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

3.9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

3.11.ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.12.დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტინთან აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება იმ პერიოდის ხარჯებში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არ ყოფნის ფაქტი.

3.13.კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შენარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

3.14. დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში** - საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებინათ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და

საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ამონაგები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კონპესაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით. ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

	31/12/2021	31/12/2020
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	2,736,632	3,931,234
სულ	2,736,632	3,931,234

6. სხვა შემოსავლები

	31/12/2021	31/12/2020
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (Covid19 -ის საგადასახადო შეღავათი)	22,670	35,727
სულ	22,670	35,727

7. სხვადასხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

	31/12/2021	31/12/2020
შრომის ანაზღაურება	729,436	569,294
ცვეთა და ამორტიზაცია	123,279	119,509
საგადასახადო ხარჯი	14,722	15,665
მივლინების ხარჯი	-	121
რემონტის ხარჯი	103,497	4,276
ბანკის მომსახურება	7,074	3,218
კომპიუტერის ხარჯები	464	475
იჯარის ხარჯი	2,542	1,186
სხვაკომპანიების მიერ გაწეული მომსახურება	255,473	287,006
ტრანსპორტირების ხარჯები	26,567	187,648
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	23,506	
კომუნიკაციის ხარჯები	6,642	6,172
კომუნალური ხარჯები	10,871	9,234
დაზღვევის ხარჯი	11,054	10,599
საკანცელარიო ხარჯი	943	894
	1,316,071	1,215,298

8. ფინანსური ხარჯი

	31/12/2021	31/12/2020
საპროცენტო ხარჯი	24,760	29,910
სულ ფინანსური დანახარჯები	24,760	29,910

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	31/12/2021	31/12/2020
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	1,425	
საქველმოქმედო ხარჯები	1,500	
მოგების გადასახადი - სხვა	265	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	7,334	19,028
სულ	10,524	19,028

10.ფულადი სახსრები

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

	31/12/2021	31/12/2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	1,128	5,411
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები		
სულ	1,128	5,411

11.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	177,526	298,367
გადახდილი ავანსები	79,431	-
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	-	1,340
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	256,957	299,706

ზემოთ აღნიშნული ცხრილი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მოდევნო წელს იწურება.

12.მარაგები

	31/12/2021	31/12/2020
ნედლეული და მასალები	91,593	118,455
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
საწვავი	2,158	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	847	1,225
სულ	94,599	119,680

13.ძირითადი საშუალებები

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	ოფისის აღჭურვი ლობა	მიწა	დაუმონტა ჟებელი მოწყობილ ებები	ჯამი
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	94,470	53,436	51,151	-	882,099	-	31,677	-	1,112,833
შესყიდვა	-	1,000	9,017	-	57,716	-	-	-	67,732
გასვლა	-	-	1,180	-	-	-	-	-	1,180
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	94,470	54,436	58,988	-	939,814	-	31,677	-	1,179,385
დაგროვილი ცვეთა									
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	14,581	29,579	33,624	-	361,462	-	-	-	439,246
ცვეთის ხარჯი	3,977	6,918	10,667	-	101,321	-	-	-	122,883
გასული აქტივის დაგროვილი	77	-	617	-	-	-	-	-	694
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	18,636	36,496	43,674	-	462,784	-	-	-	561,435
საბალანსო ღირებულება									
2020 წლის ბოლოს	79,889	23,857	17,527	-	520,636	-	31,677	-	673,586
2021 წლის ბოლოს	75,834	17,940	15,314	-	477,031	-	31,677	-	617,950

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

14.არამატერიალური აქტივები

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2020 წლის ბოლოს	2,563	-	2,563
შემოსავლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2021 წლის ბოლოს	2,563	-	2,563
დაგროვილი ამორტიზაცია			
2020 წლის ბოლოს	2,016	-	2,016
პერიოდის ამორტიზაცია	396	-	396
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-	-
2021 წლის ბოლოს	2,412	-	2,412
საბალანსო ღირებულება			
2020 წლის ბოლოს	547	-	547
2021 წლის ბოლოს	151	-	151

ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

15.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	117,458	319,741
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
მიღებული ავანსები		
სულ	117,458	319,741

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

16.ხელფასები და გამოცხადებული დივიდენდები

საანგარიშგებოპერიოდს დარიცხულ ხელფასები და გამოცხადებული დივიდენდები

	31/12/2021	31/12/2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	729,436	763,118
	108,002	140,056
სულ	837,438	903,174

17.სესხები

	31/12/2021		31/12/2020	
	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი
მოკლევადიანი სესხები (ბანკები)	132,978	280,000	150,000	80,000
ფინანსური ოჯარა	-	-	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხები	-	-	112,620	-
სულ	132,978	280,000	262,620	80,000

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია მოძრავი და უძრავი ქონებით.

18.საგადასახდო ვალდებულებები

	31/12/2021	31/12/2020
ერთიანი საბიუჯეტო გადასახადი	28,792	28,472
სულ	28,792	28,472

19 ფინანსური ინსტრუმენტები

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოფციონებს უშვებს. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან ბანკში და დეპოზიტებზე იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის საშუალებით, და განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონდე საფინანსო ინსტიტუტებში.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს მომხმარებელთა საკრედიტო ხარისხს. კომპანიის პოლიტიკაა მხოლოდ გადახდისუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობა. კრედიტის პირობები 30 დღემდეა. მიმდინარე საკრედიტო რისკის მართვა ხდება ხანდაზმულობის ანალიზის რეგულარული გადახედვით, საკრედიტო ლიმიტებთან ერთად თითოეული მომხმარებელისთვის. მომსახურების მიმღები მომხმარებლები ვალდებული არიან გადაიხადონ მომსახურების ყოველთვიური ოდენობა წინასწარ, საკრედიტო რისკის შერბილების მიზნით.

კომპანია არ ფლობს რაიმე გადაზღვევას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსებისა. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ. კომპანია ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს ლიკვიდურობის მართვასთან

დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.